ბრძანება № 146
"25" 03 2015

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 18.03.2015წ. №134 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წესდების (დებულების) დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-104 დადგენილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წესდების (დებულების) მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის "ვ" და "უ" ქვეპუნქტების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 18.03.2015წ. №134 ბრძანების დანართი №1-ში და საკონკურსო წინადადებების მიღება-რეგისტრაციის ვადა განისაზღვროს 2015 წლის 11 მაისის ჩათვლით.

2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 18.03.2015წ. №134 ბრძანების და მისი დანართი №1-ის სხვა პირობები დარჩეს უცვლელი.

3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 18.03.2015წ. №134 ბრძანებასთან ერთად.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

სამსახურის უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებელი **ნინო ღოღობერიძე**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
საქართველო, თბილისი 0160 ქ. შარტავას 7
ტელ: (+995 32) 272 22 22 ფაქსი: (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge